

ერთის მხრივ ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების დირექტორის ვასილ მარიამიძის სახით, შემდგომში (ს/კ41789109) „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „2+1“ დირექტორი კონსტანტინე ბერიძე სახით, შემდგომში (ს/კ418465529) „მიმწოდებელი“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

- 1.1. `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. `შემსყიდველი` - `ერედვის მუნიციპალიტეტი`
- 1.3. `მიმწოდებელი` ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
- 1.4. `ხელშეკრულების ღირებულება` ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.5. `დღე`, `კვირა`, `თვე` ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
- 1.6. "საქონელი" და "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

### 2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია, ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებისათვის, საკანცელარიო საქონლის შესყიდვა (დანართი #1-ის შესაბამისად; CPV 22810000- თანხით 61.50 ლარი, CPV30190000- თანხით 138.10 ლარი CPV 24900000 თანხით 22.80 ლარი, CPV 37800000 თანხით 9.00 ლარი, CPV 44400000 თანხით 15,90 ლარი).

### 3. ხელშეკრულების ღირებულება, ერთეულის ფასი

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისთვის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **247,30(ორასორმოცდაშვიდი ლარი და 30 თეთრი) ლარი.**

### 4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადები და ადგილი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2021 წლის 25თებერვლიდან 2021 წლის 01 მაისის განმავლობაში.
- 4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორის მუნიციპალიტეტი სოფ.ხურვალეთის დევნილთა დასახლება

## 5. გარანტია

- 5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლი იქნება ახალი და ხარისხიანი, არ გამოავლენს დეფექტებს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- 5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება დროული და ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს
- 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის/მომსახურების ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

- 6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.
- 6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 7. ანგარიშსწორება

- 7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად.
- 7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ **სასაქონლო ზედდებულის ან/და ინვოისის წარდგენის** საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 7.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

### 8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- 8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- 8.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.
- 8.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

### 8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- 8.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 8.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

### 8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- 8.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- 8.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
- 8.4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.
- 8.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ

მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირისგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირისგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისაგან.

9.4. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ შეთანხმების და ხელმოწერის საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

11.2. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს დაგაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში მიმწოდებელს არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ

### 13. ხელშეკრულების ინსპექტირება

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის ხარისხის და მიწოდების ვადების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებსა ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების დირექტორის **ვასილ მარიამიძის**.

13.3 გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას ახორციელებს მიმწოდებელი, შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

**ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.**

### 16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

"ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულება"

ქ.გორი სოფ.ხურვალეთი დევნილთა დასახლ.

ტელ: 577422227

საიდენტიფიკაციო კოდი: 417891099

მიმრები: სახელმწიფო ხაზინის

ერთიანი ანგარიში

\_ა/ა# GE24MB0330100200165022

ბ/კ BAGAGE22

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „2+1“

ქ.გორი,თამარ მეფის ქ.5 16ა

ტელ:

საიდ. კოდი 418465529

ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ.GE10TB7923036020100004

ვასილ მარიამიძე  
დირექტორი

კონსტანტინე ბერიძე  
დირექტორი

ხელწერილი  
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

2021 წლის 26 თებერვალი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების მიერ, საკანცელარიო ნივთების შესყიდვის განხორციელებაში, რომელსაც ახორციელებს შ.პ.ს „2+1“, ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის  
დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი  
სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების დირექტორი

\_\_\_\_\_ ვასილ მარიამიძე

## შემსყიდველი

<i>N</i>	<i>დასახელება</i>	<i>CPV კოდი</i>	<i>რაოდენობა</i>	<i>ერთ.ფასი</i>	<i>სულ</i>
1	ფაილი ა4 100 ც	22852100	1 ც	4,00	4,00
2	გასაფერადებელი	22810000	10 ც	1,00	10,00
3	გასაფერადებელი	22810000	10 ც	0,50	5,00
4	ბლოკნოტი	22816100	1 ც	8,50	8,50
5	რვეული 96 ფ	22830000	8 ც	1,20	9,60
6	რვეული 48 ფ	22830000	8 ც	0,70	5,60
7	ფერადი ქაღალდი ა4 250 ც	30192130	1 ც	10,00	10,00
8	ფლომასტერი 12 ფ	30192124	6 ც	3,80	22,80
9	ფერადი ფანქარი 12 ფ	30192130	10 ც	4,50	45,00
10	გუაში 6 ფ	30197120	3 ც	5,50	16,50
11	სტებლერის ტყვია 24 6	30192130	3 ც	0,60	1,80
12	წებო მშრალი 9 გრ	22816300	12 ც	0,40	4,80
13	შავი ფანქარი	30192130	7 ც	0,20	1,40
14	შავი ფანქარი	30192130	8 ც	0,50	4,00
15	კალამი	44424200	20 ც	0,40	8,00
16	პლასტელინი 6 ფ	24952000	6 ც	3,80	22,80
17	მარკერი	30192125	12 ც	0,80	9,60
18	ფუნჯის ნაკრები	37821000	1 ც	9,00	9,00
19	სკოჩი	44424200	5 ც	0,40	2,00
20	წებოვანი ჩასანიში	22816300	2 ც	3,00	6,00
21	დაფის საშლელი	22816300	1 ც	1,60	1,60
22	სათლელი	22816300	5 ც	0,50	2,50
23	საშლელი	22816300	8 ც	0,30	2,40
24	სკოჩი	44424200	3 ც	1,30	3,90
25	კალამი	44424200	2 ც	1,00	2,00
26	ქსეროქსის ქაღალდი ა4 500 ც	30197644	3 ც	9,00	27,00
27	სტიკერი	22816300	10 ც	0,15	1,50
	სულ				247,3

## მიმწოდებელი